პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წლიურადი მეათე საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის

კომუნისტი

კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კვირა, 30 დეკემბერი, 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 303 (2346)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
იანვრისათვის

კვირას 30, ორშაბათს 31 დეკემბერს და ოთხშაბათს 2 იანვარს
კანტორა ღია იქნება

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პროფკავშირთა მე-8 ყრილობის შედეგები

პროფესიონალურ კავშირთა მე-8 ყრილობა გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად, რომლითაც პროფკავშირებში გაერთიანებულმა მუშათა კლა-...

...კავშირები გადაჭრით უნდა შეებრძოლონ ამ „სოფლური სულისკვეთებისადმი" უყურადღებო დამოკიდებულებას, მოთმინებით და ამხანაგურად...

საფრანგეთში მთლიან პუანკარეს მთავრობის გადადგომას

ინგლისის ფირმები საბჭ. კავშირში იძენენ 90.000.000 მან. ხე-ტყეს

პუანკარე გადადგომას აპირებს

ПАРИЖИ, 29 დეკემბერი. პრესა გადაკვრით აღნიშნავს, რომ მინისტრთა კაბინეტში ადგილი აქვს უთანხმოებას მთელ რიგ საკითხებს...

კომპრომისული რეზოლუცია

ლონდონი, 28 დეკემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სრულიად ინდოეთის კონგრესმა კალკუტაში 118 ხმის უმრავლესობით...

მანჯურიის ხელ სუფლების მორიგი ბანდიტური გამოსვლა

ხარბინში დაიკავეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ტელეფონის სადგური

ხარბინი, 28 დეკემბერი. ჩინეთის ხელისუფლებამ ხარბინში პოლიციის რაზმის დახმარებით დაიკავა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ტელეფონის სადგური.

საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი საგან

ამუნდსენის წერილი?

ოსლო, 28 დეკემბერი. როგორც ათონველის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გაზეთ „ტიდენს ტეგნ"-ში მოთავსებულია სტატია ამუნდსენის იმ წერილის შესახებ, რომელიც ფინმარკენის ნაპირებთან ნაპოვნ ბოთლში აღმოჩნდა, როგორც სტატია გადმოგვცემს, წერილში ნათქვამია, რომ „ლატამ"-ი, რომელიც დათვის კუნძულთან ავარია განიცადა, სწრაფად ჩაიძირა ზღვაში.

სპეციალისტებთან თათბირის შემდეგ გაზეთი იმ დასკვნას დაადგა, რომ ნაპოვნი წერილი ბევრ მხრივ იწვევს ეჭვს, თუმცა საბოლოოდ არ არის გამორკვეული, რომ წერილი ამუნდსენს არ ეკუთვნის. (ადს.).

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

„ინგლისი იძულებული იქნება განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან

ლონდონი, 28 დეკემბერი. „მანჩესტერ გარდიენ"-ი სწერს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური შეთანხმება სალი გონების გამარჯვებაა.

ინგლისი საბჭ. კავშირში იძენს 90.000.000 მ. ხე-ტყეს

სამხრეთ-სლავია იშლება

„ნიუდენის ვზადება" დაუსრულებელი ლაყბობისათვის

პაციფისტური კონგრესი

საიმონის კომისია კალკუტაში

ამხ. იაკულოვის გარდაცვალება

გენ. სიკორსკის „საქმიანობა"

საბჭოთა ბელორუსიის ათი წლის თავი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის მიმართვა

ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ც. კ-ისა და ბელორუსიის სახალხო კომისართა საბჭოსადმი

ამხ. ჩერვიაკოვი
ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარე

...გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ბელორუსიის მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას!

გაუმარჯოს ბელორუსიის კომპარტიას (ბ)!
საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.

ბელორუსიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

მოსკოვი, 28 დეკემბერი. ბელორუსიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ათი წლის თავის გამო ბელორუსიის კომპარტიის ცეკამ ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ყველა წევრს, მუშას, გლეხს და წითელ არმიელს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც, სხვათაშორის, ნათქვამია:

საკავშირო ცაკის მიმართვა

ამხ. გოლოდედი
ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ამხ. რიკოვის დეპეშა

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცეკას, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკსა და სახალხო კომისართა საბჭოს

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის დეპეშაში ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცეკას, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკსა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე ნათქვამია:

...მთელი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად თქვენი რესპუბლიკის მუშები და გლეხები იბრძოდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარისათვის და მათ კიდეც შეინარჩუნეს სამოქალაქო ომში ეს მონაპოვარი.

ამჟამად საბჭოთა ბელორუსია იმის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ დაუნდობლად ხპობს მუშათა კლასი, გლეხობასთან კავშირში ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას, ყოველგვარ ნაციონალურ უთანასწორობას და სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირით აერთიანებს ყველა ერის მშრომელთა ძალ-ღონეს ახალი საზოგადოების შესაქმნელად" (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რიონჰესის დაკვეთები ლენინგრადის ქარხნებს

მოსკოვი, 29 დეკემბერი. ამ დღეებში რიონჰესის წარმომადგენელმა ჩიქოვანმა გადასცა ლენინგრადის ქარხნებს მთელი რიგი დიდი დაკვეთანი რიონჰესის მშენებლობისათვის.

ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებს დაუკვეთა ორი ტურბინა, პუტილოვის ქარხანას — ჯებირებისა და რაბების მოწყობილობა, ქარხანა „ელექტროსილა"-ს — გენერატორები.

მაქსიმ გორკი ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 29 დეკემბერი. „იზვესტია"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია მაქსიმ გორკის დიდი წერილი-ფელეტონი სათაურით: „О разных разностях".

თავის წერილში მაქსიმ გორკი უპასუხებს მილიუკოვის გაზეთ „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს თანამშრომელს ემიგრანტ დემიდოვს, რომელიც ბრალს სდებს გორკის იმაში, რომ გორკი თითქოს განზრახ ამახინჯებს ფაქტებს და...

მაქსიმ გორკი უპასუხებს „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს მთელ რიგ მჭერმეტყველურ ფაქტებით, რომლებიც ამოღებულია თვით ემიგრაციის გაზეთებიდან და მოწმობენ ემიგრაციის სრულ მორალურ გახრწნასა და სასოწარკვეთილებას. სხვა ფაქტებს შორის გორკის ემიგრაციის გაზეთებიდანვე მოყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ბანდიტიზმი, ქურდ-ბაცაცობა, საეჭვო კომბინაციების ორგანიზაცია ემი-...

ინტერვიუ ხალხთან ვარჩეულ ...

საბჭოთა ბელორუსიის 10 წლის თავი

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მისალმება ბელორუსიის მუშებსა და გლეხებს

...ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიაში.

მძიმე წარსულის ფონზე დღეს თვალის მომჭრელად ბრწყინავენ ის მიღწევები, რომლებიც აქვს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დიად სოციალისტურ მშენებლობაში, ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურულ - სამეურნეო მიღწევები მარტო ჩვენს აღტაცებას არ იწვევენ. მათ ...

... უკუგდებ იქცევა მუშათა დიქტატურის სახელმწიფოს დასავლეთ საზღვარს და გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალისტებს, თუ კი მათ სცადეს თავდასხმა საბჭოთა კავშირის მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ბელორუსიას!

გაუმარჯოს მის სოციალისტურ მშენებლობას!

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ვოიცეხოვსკის პროცესი

ვარშავა, 28 დეკემბერი. დაიწყო ვოიცეხოვსკის დაკითხვა. ვოიცეხოვსკი აცხადებს, რომ იგი თავის თავს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად თვლის. ჩვენებებში, რომელიც მან სასამართლოს მისცა, უხვად არის განწყობილი თეთრგვარდიელთა გაზეთებიდან ამოღებული მოხსენიებული ამბები „ჩეკას ჯურღმულებისა და საშინელებათა" შესახებ, მისი მამის დახვრეტის შესახებ და სხვ. თავის საკმაოდ აბნეულ სიტყვას ვოიცეხოვსკი იწყებს განცხადებით, რომ მას უნდოდა ბოლშევიკების იმ ...

... ნიშნულია, რომ ვოიკოვის მოკვლის შემდეგ საბჭოთა საელჩო მიუთითებდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვოიცეხოვსკის მონაწილეობაზე ამ მკვლელობაში. სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსმა გოლუვკომ განუცხადა, რომ კარგად იცნობს ვოიცეხოვსკის და საეჭვოდ მიაჩნია მისი მონაწილეობა მკვლელობაში. ვოიცეხოვსკის ბინა მაშინ გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. გავიდა რამდენიმე ხანი და იური ვოიცეხოვსკი პასუხისგებაში იქნა მიცემული ლიზარევზე ...

... ჩვენებას იძლევა გოლუვკო, რომელიც აცხადებს, რომ მან ერთმანეთში აურია იური ვოიცეხოვსკი და მისი ძმა სერგეი, რომელიც იმ დროს მასთან იყო.

პროკურორის შეკითხვაზე ტერორისტული ორგანიზაციების არსებობის შესახებ პოლონეთში, გოლუვკო უარყოფითი პასუხს იძლევა.

დიდხანს გრძელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტის ბაბინსკის დაკითხვა. მისი დაკითხვით ცდილობენ გამოარკვიონ ლიზარევის ოფიციალური მდგომარეობა. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. პროკურორი აცხადებს, რომ ლიზარევი, როგორც დიპლომატიური კორპუსის წევრი, თანამდებობის პირია. ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ დამცველები, რომლებიც ლიზარევს თვლიან მხოლოდ „რუსეთის ვ...რების წარმომადგენლად".

პოლონეთის პრესა ვოიცეხოვსკის პროცესის შესახებ

ვარშავა, 28 დეკემბერი. პოლონეთის პრესა საზღვარგარეთული გაზეთების კორესპონდენტები ვოიცეხოვსკის პროცესს დიდ ყურადღებას აქცევენ.

...„კურიერ პორანი"-მ მოათავსა ვრცელი წე...

...ს გამოსახავს საშუალებას, რომ საზღვარი დაიდოს რუსეთის ემიგრაციის ტერორისტულ აქტებს.

„ამათი მთავრობამ და პრესამ არ იცოდა გაეუთოთ ეს ამოცანა პოლონეთის ხელისუფლებას".

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ წერილის ამშვენებს ვოიცეხოვსკის და მისი „დახვრეტილი" მამის სურათები.

ღამის ცნობები

ინგლისი და ჩინეთი

ლონდონი, 28 დეკემბერი. ...

მისალმებები ბელორუსიის მთავრობას

ამხ. კალინინის მისალმება

...30, 29 დეკემბერი. ...

ამხ. ვოროშილოვის მისალმება

მოსკოვი, 29 დეკემბერი. სამხედრო კომისარი ამხ. ვოროშილოვის მისალმებაში ბელორუსიის მუშებისა და გლეხებისადმი ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს სახელით გამოვსთქვამ რწმენას, რომ ბელორუსიის მშრომელი მასა, რომელიც ისტორიის მიერ არის დაყენებული დარაჯად საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, უოველ ღონისძიებას იხმარს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშვიდობიანი შრომის სამედო დასაყრდენ—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის გაძლიერებისათვის". (ადს).

ისტორიკოს მარქსისტთა კონფერენცია

მოსკოვი, 28 დეკემბერი. 28 დეკემბერს ...

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი

ამ წერილში ჩვენ მოკლედ ვეხებით განვმარტოთ ...

პარტიაში

აგიტპროპთათბირის მოწვევის შესახებ

ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

1928 წ. 12 იანვარს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იწვევს აგიტპროპთათბირს ...

ა) ...

ბ) მუშების და გლეხების კოოპერატიული და აგრონომიული განათლება;

ვ) პროფკავშირების კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა;

ი) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში კულტაღმზრდელობითი მუშაობა;

უ) მუშათა განათლება;

ქ) ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობა;

ლ) ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა.

... ცეკას და თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკები, თბილისის ყველა გაზეთების რედაქტორები და ნორჩ პიონერთა ც. ბ. წარმომადგენლები, ცენტრ. პარტსკოლის გამგე, ცეკასთან არსებულ ნაც. უმცირესობათა კომისიისა და განათლების კომისარიატთან არსებულ ნაციონ. უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი **ქახიანი.**

ც. კ. აგიტპროპგანყოფილების განყ. გამგე **ს. მამულია.**

ლენინის ნაწერების გავრცელებისათვის

ა.-კ. ყველა სამაზრო, საოლქო პარტიულ კომიტეტებს ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. პროფკავშირების საბჭოს

საქ. სახელმწიფო გამომცემლობა უკვე შეუდგა ლენინის ყველა ნაწარმოებთა ქართულ ენაზე გამოცემას, ლენინის თხზულებანი ლენინის სახ. ინსტიტუტის უკანასკნელ გამოცემლობათა მიხედვით იცემა.

ლენინის ყველა ნაწარმოების ქართულ ენაზე გამოცემა უდიდესი მოვლენაა ჩვენი კულტურისა და პოლიტიკური აზროვნების ფრონტზე. ლენინის მოძღვრება, რომელიც წარმოადგენს კლასიური ბრძოლის საუკეთესო ია... მათა კლასის ხელში იგი ყველაზე უფრო მკვეთრ იარაღს წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის, ამიტომ დიდია საქართველოს მშრომელ მასებისათვის ლენინის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემის მნიშვნელობა.

მაგრამ იმისათვის, რომ სახელგამმა შესძლოს ამ ფრიად მნიშვნელოვანი წამოწყების წარმატებით დაგვირგვინება საჭიროა ლენინის თხზულებათა გავრცელების მოწესრიგება, საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ამ გამოცემის გარშემო. პირველ რიგში აუცილებელია, რომ პარტიის ყოველმა წევრმა გამოიწეროს ლენინის თხზულებანი. მათი გავრცელების მიზნით ადგილობრივმა პარტიულ და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ ენერგიული კამპანია თავის წევრებს შორის. ამ საქმეს აქტიურად უნდა გამოეხმაურონ პროფკავშირის ორგანიზა... საქ. ა. ლ. კ. კ.-ის ც. კ.-მ და პროფ. კავშირების საბჭომ თავისი ხაზით ადგილებს უნდა მისცეს სათანადო მითითებანი ლენინის თხზულებათა გავრცელების შესახებ.

ლენინის თხზულებანი უნდა გახდეს სამაგიდო წიგნათ ყოველი მუშისა და მშრომელი გლეხისათვის.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი **ქახიანი.**

ც. კ. აგიტპროპგანყოფილების განყ. გამგე **ს. მამულია.**

კომკავშირში

კომკავშირის ქალაქის მე-11 კონფერენცია

მესამე სხდომა

კონფერენციის მესამე სხდომაზე გაიხსნა კამათი რაიონულ კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

ამხ. კალანტაროვი ამბობს, რომ რაიონული კომიტეტები ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად ვერ იყენებდა მის განკარგულებაში მყოფ აქტივს ამიტომ უჯრედიბთან (კოლექტივ) ლი კავშირის დაჭერა მოისუსტებდა. პარტ. ხელმძღვანელობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთ პარტ.-მიმაგრებული ამხანაგები რვა თვის განმავლობაში არ დასწრებია კომკავშირის უჯრედის კრებას.

... ბევრი მათგანი სისტემატიურად არ ესწრებიან სექციების სხდომას ან და თუ ესწრებიან არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ ამა თუ იმ საკითხის გარჩევაში.

ამხ. ჯეიმანი ამბობს: იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას დღეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ამ მხრივ ყაილაფერი რიგზე არ არის. ავიღოთ მაგალითად ანტირელიგიური კამპანია. ამ მიმართულებით რაიკომს ბევრი არაფერი არ გაუკეთებია. კომკავშირული პრესა მცირე რაოდენობით ვრცელდება; ...

26 კომუნარის რაიონის მე-16 კონფერენცია

მესამე სხდომა

...

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

გერმანია - საბჭოთა შეთანხმება. — რეპარაციების საკითხი და ამერიკა. — ინგლისის იმპერიალიზმის ავანტიურის დამარცხება ავღანისტანში. — ლონდონის მთავრობის მანევრი ამერიკის წინააღმდეგ ჩინეთში

„როდესაც შახტის პროცესთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობამ შესწყვიტა ჩვენთან ეკონომიური მოლაპარაკება, რომელიც მაშინ ბერლინში მიმდინარეობდა, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული ...

... იმ გონიერ გზას, რომელიც გათვალისწინებულია რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებებით. მოსკოვის მოლაპარაკება მიმდინარეობდა ამ ხელშეკრულებათა ნიადაგზე. მას საფუძვლად ედვა ცნობა ორი სისტემის, რომ...

... სათვისაც, რომელთაც ადგილი ჰქონდათ გერმანიაში ბოლოს დროს და რომელნიც ხელს ვერ შეუწყობენ მხარეთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას. ასეთია, მაგ., გერმანელ ბანკირთა ჯგუფის შესვლა ...

... ს. ქ—ლი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ნაკლი არ უნდა მივაფუჩეჩოთ

საბჭოთა არჩევნების წინასწარი მოსამზადე-ბელი მუშაობა ინსტრუქციის თანახმად, უნდა დამთავრდეს იანვრის პირველ რიცხვამდე. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის პრესის უაღრეს მნიშვნელობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ხოლო თავის მხრივ პრესა იმ შემთხვევაში შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას, თუ მას გვერდში ამოუდგებიან და აქტიურად დაეხმარებიან ... საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეწყობის ... მუშკორები.

დადგენილება № 104

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშების მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენახვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ...

... საგან მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ისინი მივლინებაში იქნებიან და ამავე დროს განმავლობაში მათ უნდა შეენახოთ მათი საშუალო სამუშაო ხელფასი.

კოოპერაცია და არჩევნები

თბილისის მუშკოოპის წევრებს

საბჭოთა საანგარიშო კამპანიის მოახლოების გამო თბილისის მუშკოოპმა მიმართა კოოპერაციის წევრებს მოწოდებით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

მუშკოოპის წევრნო, ამ დღეებში იწყება საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც ჩატარდება გაცხოველებულ კლასთა ბრძოლის პირობებში.

მომავალმა კამპანიამ უნდა შეაფასოს წინა საბჭოების მუშაობა და დასახოს უახლოესი წლების პერსპექტივები. გადარჩევის კამპანიის მთავარი ყურადღება მიქცეული იქნება ქვეყნის სამრეწველო-სამეურნეო განვითარების საკითხებზე. შეკავშირებულმა მომხმარებლებმა, როგორც ამ საკითხებთან ახლო მდგომმა, უნდა მიიღონ საბჭოების გადარჩევაში აქტიური მონაწილეობა; მათ უნდა ახსოვდეს, რომ მუშათა კოოპერაციის განვითარება დამოკიდებულია საბჭოების მუშაობის სწორი ორგანიზაციისა და მის უახლოეს ამოცანებისგან.

მუშათა კლასის ენერგიულმა შეტევამ, ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე აამოქმედა კულაკი და ქალაქის ბურჟუაზია პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ. კაპიტალისტური ელემენტები ცდილობენ შეიტანონ გათიშვა მუშათა რიგებში. მაგრამ ძლიერია საბჭოთა ხელისუფლება. იგი ხსოფლიო იმპერიალიზმის, შინაური და გარეშე მტრების შემოტევას უპირდაპირებს მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირს.

მუშკოოპის წევრნო, არ დააკლდეთ საბჭოთა საანგარიშო და საარჩევნო კრებებს, მოითხოვეთ სრული და ყოველმხრივი გაშუქება საბჭოების განვლილი მუშაობის, მათი მიღწევების და შეცდომების, საბჭოთა ხელისუფლების მორიგე ამოცანების სრულ და გარკვეულ დასახვის მიზნით.

მუშკოოპის გამგეობა მოგიწოდებთ, რათა არც ერთი წევრი არ დააკლდეს საბჭოთა გადარჩევებს. ჩადექით ამომრჩეველთა მოწინავე რიგებში და მიიღეთ მონაწილეობა საარჩევნო კრებებზე თქვენი ოჯახის სრულწლოვან წევრებს.

დამუშავეთ კრებებზე კოოპერაციის მოთხოვნილებანი და შეიტანეთ მომავალ საბჭოს წევრთა განაწესში.

გაუმარჯოს მუშკოოპის წევრთა ერთსულოვან მონაწილეობას საბჭოთა გადარჩევაში.

გაუმარჯოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

თბილისის მუშკოოპის კავშირი.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა თბილისის მაზრაში

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ... თბილისის პრესა, გაზეთ „კომუნისტი“-ს და ...

თათბირმა აღნიშნა, რომ საერთოდ მოსამზადებელი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. თათბირმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ...

თბილისის მაზრის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა

28 დეკემბერს შესდგა თბილისის მაზრა-ქალაქის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენებები წინასწარ მუშაობის შესახებ ადგილებზე.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მოსამზადებელი მუშაობა საერთოდ ნორმალურად მიმდინარეობს ...

ბაქოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა გამოწვევა

პარასკევს, 28 დეკემბერს, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა ამავე დაწესებულებების უჯრედის ღია კრება, რომელზედაც საბჭოთა არჩევნების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქაცარავა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობას, და აღნიშნა, რომ წარსულ არჩევნებთან შედარებით, მიმდინარე არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა უკეთ მიმდინარეობს. გასულ არჩევნებში ამომრჩეველთა 42 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, წელს კი ახი პროცენტამდე უნდა ავზწიოთ მონაწილეთა რიცხვი.

დასასრულ კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ აღმასკომის თანამშრომლები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში და ხელს შეუწყობენ მის წარმატებით ჩატარებას. საარჩევნო კამპანიის უკეთ ჩასატარებლად მოსამსახურენი.

კრებამ გამოიწვია ბაქოს აღმასკომის მუშა-...

ნ. მქ—ლი.

ფოსტელ მუშაკთა შორის

27 დეკემბერს თბილისის მთავარ ფოსტა-ტელეგრაფის, ქალაქის განყოფილებების და რკინის გზის ფ.-ტ. მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ამხ. ნებიერიძის მოხსენება საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობაზე.

მოხსენების დამთავრებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა მიიღოს ყველა მუშა-მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა საბჭოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა.

კრებამ აგრეთვე დაადგინა გამოიწვიოს ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები რომ მათაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოს არჩევნებში. ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად კრებამ გამოჰყო კომისია სამი ამხანაგის შემადგენლობით.

ნ. მ—ლოვი.

გორის მაზრაში

ხაშურის რაიონი

ხაშურის რაიკომმა ორჯელ ჩაატარა სოფლად მომავლებულების და პარტაქტივის თათბირები, პირველ თათბირზე დასმული იყო საკითხი: „წინასწარი სამზადისი საბჭოთა არჩევნებისათვის და პარტ-ორგანიზაციების ამოცანები“. ეს საკითხი დამუშავდა აგრეთვე სოფლის ყველა პარტ. და კომკავშირის უჯრედში ...

... შურის რაიონში დაიწყო 17 დეკემბრიდან და დამთავრდა 27 დეკემბერს. წინასწარ დამუშავდა აგრეთვე საკითხი პროფკავშირების ...

რაიკომის ინიციატივით 18 დეკემბერს მოწვეულ იქნა ხაშურის და სურამის მუშ. გლეხკორთა და აბკორთა გაერთიანებული თათბირი მუშგლეხკორთა ამოცანების შესახებ საბჭოთა არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის და ადგილობრივად სოფლებში ერთდროულ კედლის გაზეთის გამოცემისათვის, სადაც გაშუქდება საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა და საბჭოების მუშაობა. თათბირმა საჭიროდ სცნო ფართოდ გააშუქოს საარჩევნო კამპანიის მსვლელობა როგორც კედლის, ისე ნაბეჭდ გაზეთებში.

ა. ტ—ვი.

უცხოელი მუშკორები თბილისში

გუშინ დილით ბაქოს მატარებლით თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მუშკორების დელეგაცია 8 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შემავალი ამერიკელი და ჩეხო-სლოვაკელი მუშკორები გზიდან დაბრუნდენ ავათმყოფობის გამო.

თბილისში ჩამოსულ უცხოელ მუშკორთა დელეგაციას თავმჯდომარეობს გერმანიის კომპარტიის ორგანოს—გაზ. „როტე ფანეს“ მუშკორი ამხ. კასტენსი. დელეგაციაში შედიან: არნ. ფრიდრიხ, გაზ. „ფრაიხაიტის“ მუშათა განყოფილების გამგე, კრუპის ქარხნების ყოფილი მუშა; ლეონ დეკუ—სენ-ეტიენის კომუნისტურ გაზეთ „კრი დი პიპლ“-ის ...

... გაციის წევრებმა ინახულეს ადგილკომი, კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია და გაეცნენ მათ საქმიანობას. დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ მუშკორების მუშაობის პირობებით. ყველა კითხვებზე მათ ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ ადგილობრივი მუშაკები.

დელეგაციის მეორე ჯგუფი გაემგზავრა ტრამვაის პარკის და სახელოსნოების დასათვალიერებლად. დათვალიერება გაგრძელდა საათზე ...

... წრეებს გაეცნო დელეგაციის ყველა წევრი სათითაოდ და განმარტა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში დელეგაციის მოგზაურობის მიზანი.

უმთავრესი მიზანი, აცხადებს ორატორი, დელეგაციის იამოვლისა საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში არის ის, რომ უცხოეთის მუშათა კომუნისტური გაზეთების წარმომადგენლებმა უშუალოდ ნახონ, თუ როგორ წარმოებს სოციალისტური აღმშენებ-...

... მოკრატია და სოციალ-დემოკრატიული პრესა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს დაებეჭდოთ მუშკორისაგან მიტანილი წერილი, ან უბრალო ცნობა.

გერმანიაში, განაგრძობს ორატორი, რეაქციონური გაზეთები ამტკიცებენ, რომ თვის ყველაზე უფრო თავგამოდებით ემზადება, საბჭოთა კავშირი და თუ ომს ადგილი ექნა, ეს გამოწვეული იქნება უმთავრესად საბჭოთა კავშირის პოლიტიკით. თავისი ახეთი მტკიცებით ბურჟუაზიულ-რეაქციონური პრესა ერთგვარ გავლენას ახდენს მოსახლეობის არაკაპიტალისტურ და არა ბურჟუაზიულ ფენებზედაც, ამიტომ გერმანიის კომპარტია ...

... გვიადვილებს ბრძოლას საკუთარ ბურჟუაზიის დასამარცხებლად და გერმანიაშიაც საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

გერმანელი მუშკორები

მარცხნიდან მარჯვნივ კოლეტი, კასტენსი, ფონდერაიტ, ფრიდრიხ ბონშტენგელის

შეხვედრა სადგურზე

ჩამოსულ სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ თბილისის გაზეთების მუშა-კორესპონდენტები და კრების მუშაკები.

უცხოელ მუშკორებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: გაზ. „კომუნისტის“ მუშკორების სახელით ამხ. ნ. იტრიევმა და ნ. ჯავახიძემ, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მუშკორთა სახელით—ამხ. ვ. ფურცელაძემ და გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ს მუშკორებისა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სახელით ამხ. გალკინმა.

ამხანაგებმა თავიანთ სიტყვებში სიხარული გამოსთქვეს რომ მათ საშუალება მიეცათ მჭიდრო კავშირი გაებან უცხოელ მუშა-კორესპონდენტებთან, რადგან ეს კავშირის გაბმა ხელს შეუწყობს საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის განმტკიცებას.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კასტენსი, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მუშკორებთან გაცნობის წყალობით უცხოეთიდან ჩამოსულმა მუშაკორესპონდენტებმა შეიძინეს დიდი გამოცდილება, რასაც ისინი გამოიყენებენ მუშური იმართლისათვის ბრძოლის დროს.

... მეტს. შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს გერმანელების ახალშენი და თბილისის მაუდის ფაბრიკის საამშენებლო სამუშაოები.

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარში“

დელეგაციის მეორე ჯგუფი გაემგზავრა ტრამბაქოს ქარხანა „პროლეტარს“, სადაც მათ დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ადგილობრივი მუშები. ფაბრიკის სხვადასხვა განყოფილებების დათვალიერების შემდეგ გაიმართა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

... ლობა საბჭოთა რესპუბლიკებში. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კაპიტალისტური და სოციალ-დემოკრატიული პრესა სისტემატიურად აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქო საბჭოთა კავშირი განიცდის დიდ ეკონომიურ კრიზისებს, ადგილი აქვს აჯანყებებს, საბჭოთა ხელისუფლება ხდევნის მუშებს, არავითარი აღმშენებლობა არ სწარმოებს, პირიქით, ინგრევა ისიც, რაც აშენებულია და სხვა.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია, ასეთი ყალბი ხმების გაფანტვა და საბჭოთა კავშირის ...

ამხ. ფილიპპის სიტყვა

საფრანგეთის მუშკორების სახელით სხდომაზე მისასალმებელ სიტყვას ამბობს სენტ-ეტიენის საოლქო კომუნისტურ გაზეთ „კრი დუ პეპლ“-ის მუშკორი ამხ. ფილიპპი. იგი მოუთხრობს კრებას იმ პირობებზე, რომლებშიაც უხდებათ მუშაობა საფრანგეთის მუშკორებს. საფრანგეთში მუშკორი გათანაბრებულია სახელმწიფოს მოღალატესთან და მის წინააღმდეგ მთავრობა ისეთ ზომებს იღებს, როგორც სახელმწიფო მოღალატის მიმართ. თუ რომელიმე მწარმოებელმა ან ქარხნის ადმინისტრაციამ შენიშნა, რომ მუშა სწერს გაზეთში, ასეთ მუშას დაუყონებლივ ითხოვენ სამუშაოდან. ამჟამად საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სპეციალური კანონპროექტიც კი შეტანილი, რომლითაც გათვალისწინებულია მუშკორების წინააღმდეგ მთელი რიგი რეპრესიების მიღება. იმის წარმოსადგენად, თუ როგორ პირობებში უხდება მუშაობა მუშკორს საფრანგეთში, ორატორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნ დელეგატების არჩევნების დროს „ლიუმანიტე“-ს რედაქციამ მოიწვია პარიზის მუშკორთა საერთო კრება, რო-...

მარცხნიდან მარჯვნივ: ანდერსენ (ნორვეგია), ფილიპ (საფრანგეთი), დეკუ (საფრანგეთი).

... ეჯახება ... სოლიდარობის ...

... ამხ. ბონშტენგელის სიტყვა ...

საქართველოს კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიაში ...

აპელიაცია რესპუბლიკათა ცენტრალურ საკონტროლო კომისიების დადგენილებებზე

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიაში მიიღება 1929 წლის 15 იანვრამდე

ამ ვადის შემდეგ შემოტანილი განცხადებები უშედეგოდ დარჩება.

ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია.

საბჭოთა კავშირის მარგანეცის ექსპორტის პერსპექტივები

მიუხედავად იმისა, რომ მარგანეცი არის არა პირველადი არამედ დამატებითი ნედლეული, ის მაინც შესძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ საქონლად, რადგან მისი მოხმარება დაკავშირებულია ფოლადის წარმოებასთან. ყოველ 100 ფუთ ფოლადზე საჭიროა 2 ნახ.—3 პროცენტი მარგანეცი.

1913 წელს, როდესაც ფოლადის მსოფლიო 74—76 მილიონ ტონას უდრიდა, მარგანეცის მსოფლიო მოხმარება შეადგენდა დაახლოვებ ...

... კაპეიკი ჯდებოდა (შემდეგში 8,63 კაპ.). ინდოეთში კი ერთი ფუთი მადნის გადაზიდვა 800 კილომეტრის მანძილზე ჯდებოდა 6,79—7,76 კაპეიკი. რკინის გზის საწყობებთან ერთი ტონის მიტანა ჩვენში ჯდებოდა 40 კაპეიკი. ინდოეთში—9,5 კაპეიკი, საწყობით სარგებლობისათვის ტონაზე მოდიოდა:

ჭიათურაში	1 მან. 50 კაპ.	
ფოთში	3 „ 00 „	
ინდოეთში	0 „ 00 „	

... აწარმოებდა, ხოლო გარეცხას — ორ-სამ ქარხანაში. ამიტომ მაღაროებში მუშაობას თავი მიანებეს და მაღაროები ჩამოინგრა. სავალდებულო ხარჯებს თავიდან ასაცილებლად, ქარხნების მოწყობილება კონცესიონერს გადაჰქონდა რამდენიმე გამრეცხ ქარხანაში, რის გამოც ბევრი ქარხანა იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ გამოუსადეგარი გახდა.

ჭიათურაში გაჩნდა უმუშევართა გაუგონარი კადრი — 4.000 კაცი. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ჭიათურის მრეწველობა გაიყინა ...

... ბაზე ჩვენთან, რამდენიმე ხნის განმავლობაში უფრო ხელსაყრელი იქნება ქარხნებისათვის, ვიდრე ჩვენი უშუალო ვალდებულება მათ წინაშე.

ზემოთქმულის გამო მარგანეცის უკონცესიონეროდ რეალიზაციის დროს ჩვენ ვიყენებთ შერეულ მეთოდებს. ზოგიერთ ქვეყნებში რეალიზაცია გადაეცა გენერალურ კომისიონერებს და თან უფლება შევინარჩუნეთ, რომ მარგანეცი უშუალოდ მიუყიდოთ ფირმებს, ზოგან (საფრანგეთი) რეალიზაციას აწარმოებს საზოგადოების აპარატი, სავაჭრო წარმომადგენლობასთან ერთად. სხვაგან კი (ინგლისი) რეალიზაცია მინდობილი აქვს მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენლობას. 2-3 წლის შემდეგ ჩვენ ნაცადი გვექნება სამივე სახე და ამ გამოცდილებას სათანადოთ გამოვიყენებთ.

ჩვენი შეთანხმებების პირობათა შესახებ წერა ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი გადაუშვა ... ლოწინეთ მინიმალური რაოდენობა ამ ქვეყნებში და დავსვით საექსპორტო პროგრამის გაფართოვებისა და, ამასთან დაკავშირებით, მარგანეცის ამოღების გადიდების საკითხი.

რანაირია მდგომარეობა ამ მხრით? საანგარიშო და სპეციალური ცნობებით მდგომარეობა ამ სახით გვეხატება:

„ამჟამად (1928 წელს) ჭიათურის რაიონში 31 ქარხანაა. მათი მდებარეობა და სიმძლავრე ასეთია:

ხ ე ო ბ ა	ქარხნების რაოდენობა	მათი საერთო სიმძლავრე	ყოველთ ქარ. ნაი. მაქსიმ. სიმძლავრე	მინიმალური სიმძლავრე	საშუალო სიმძლავრე
წირქვალის	11	54.000	9.400	1.000	4.984
ჭალის	8	37.350	9.000	2.000	4.668
ყვირილის	6	35.200	12.000	500	5.866
შუქრუთის	2	27.500	18.000	950	13.750
დარკვეთის	2	13.200	8.000	5.200	6.600
ითხვისის	1	4.000	4.000	4.000	4.000
მღვიმევის	1	6.200	6.200	6.200	6.200

ყველა ამ ქარხანას 8 საათის სამუშაო დღის დროს შეუძლია მოგვცეს დღეში 178.250 ფუთი გარეცხილი მადანი, ხოლო თვეში (24 სამუშაო დღეში) 4.278 ათასი ფუთი საჭიროების დროს ქარხნებს შეუძლიათ გააორკეცონ და გაასამკეცონ გარეცხილი მადნის რაოდენობა. მაშინ ახალი ქარხნების აუგებლად შევძლებთ მივიღოთ თვეში 8.556 ათასიდან 12.834 ათას ფუთამდე გარეცხილ მადანს, რაც დააკმაყოფილებს ბაზრის ყოველგვარ მოთხოვნილებას, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს ...

მარგანეცის კონცესიის საქმეში ძნელია გარკვეულად რაიმე ითქვას ორი უკანასკნელი შეხამლებლობის შესახებ, მაგრამ ეჭვს გარეშეა რომ კონცესიონერს ან მის ორგანიზაციას სრულებითაც არ ჰქონია მიზნად მადნის ამოღების და ექსპორტის განვითარება. თუ რა მდგომარეობაში დაგვიტოვა მან ექსპორტი, ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ.

დავახასიათოთ ახლა მადნის ამოღების მდგომარეობა საუწყებათაშორისო კომისიის მასალების მიხედვით.

... ლოთ ჩვენ მეტოქეებს, ამას, რასაკვირველია, არც მოვინდომებთ და არც ჩავიდენთ. საერთოდ კი რეალიზაციის მდგომარეობა და პერსპექტივები ასეთია: საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის საექსპორტო პროგრამა უზრუნველყოფილია მთელი 100 პროცენტით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი შეთანხმება ფერო-მარგანეცის უდიდეს მწარმოებელთან მსოფლიოში „ბეტლეემ შტილკო“-სთან. მიუხედავად იმისა, რამდენიმე ...

... კონცესიონერი საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ქარხნიდან აგროვებდა მამოძრავებლებს საჭაჩავებსა, სხვადასხვა მექანიზმებს და ნაწილებს.

ამრიგად, თუმცა ფორმალურად მარგანეცის ტრესტმა ამუშავებული, ფეხზე მდგომი საქმე ჩაიბარა, მაგრამ ფაქტიურად ეს ფეხზე მდგომი კი არა, დაქვეითებული საქმე იყო. ჩვენ აქ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ საწყობები და სახელოსნოები, რომლებიც თითქმის სულ არ არსებობდნენ და ...

... ფუთი მადანი და დღეში აქეთებს არა უმეტეს სამი გზისა, უფრ. თოფურიას ქარხანა სწორედ 5 კილომეტრის მანძილზეა რკინის გზის ლიანდაგიდან. მისი გამტარუნარიანობა უდრის 3 მილიონ ფუთს წელიწადში. ამ რაოდენობას გადაზიდვა ებლანდელ პირობებში 250 ათასი მანეთი დაჯდება. დაახლოვებით ამდენივე თანხა დასჭირდება ამ ხაზზე მავთულის საჰაერო გზის მოწყობას. კონცესიონერს არ აინტერესებდა ამოღების გაფართოვება, ამიტომ არც ამ ამბავისათვის იტკივებდა თავს. ჩვენ კი ...

... რთება 1.200—1.400 ტონა, ხოლო ორ წყებად მუშაობის დროს—2.000—2.200 ტონა მაინც.

საშუალო ტვირთტევადი (7.000 ტონიანი) გემი ასეთ პირობებში 20—30 დღის ნაცვლად, სულ რამდენსამე დღეს დარჩება ნავთსადგურში.

დატვირთვის ასეთი მექანიზაცია საგრძნობლად მოსპობს იმ ხარჯს, რომელსაც იწვევს გემების დაბანდება და რომელიც 1 ნახ. კაპეიკით აღიდებს ფუთი მადნის ღირებულებას.

...

ა. სვანიძე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ფაბრიკა ორთავე ფეხებით კოჭლობს

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში ადგილი აქვს მთელ რიგ არანორმალობას. შრომის ნაყოფიერება დაცემულია, სამაგიეროთ მომატებულია ხელფასი, მუშაობა სწარმოებს უგეგმოთ და უსისტემოთ. ამან გამოიწვია პროდუქციის თვითღირებულების უჩვეულო ზრდა და მისი ხარისხობრივად გაუარესება.

თვითღირებულებამ აქ მოიმატა 36 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება დაეცა 25 პროცენტით. თუ გასულ წელს ამ ფაბრიკაში დამზადებული შალი ადგილობრივ ბაზარზე ფასობდა მეტრი 6 მან. 50 კაპ.—9 მანეთამდე, დღეს იგივე შალი ფასობს 9 მანეთიდან 16 მან. 12 კაპიკამდე. ვინ უნდა იყიდოს ასეთი ძვირი ნაწარმოები?

საანგარიშო პერიოდში გაცდენილია არასაპატიო მიზეზით 1.000 სამუშაო დღე. 1.086 დღე გაცდენილია კონფერენციებზე და კრებებზე. პირველი ამჯერა დაუდევრობაა, რაც შეეხება მეორეს—ისიც არანორმალურია. წარმოუდგენელია, რომ ისეთ შედარებით პატარა საწარმოში, როგორიცაა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, კრებებზე და კონფერენციებზე დაიხარჯოს 1.086 დღე. ეს ყველაფერი ტვირთად დააწვა წარმოებას. ამას თავის დროზე ყურადღებას არ აქცევდნენ, ხშირად პარტიის წევრები და კომკავშირელებიც აცდენდნენ უმიზეზოდ დღეებს. მუშაახალგაზრდები კი ხშირ-ხშირ თვრება. არის ჩხუბი მუშაობის დროს, საქმე ცურტრ-კრივამდე მიდის.

ამ ფაბრიკის ინჟინერმა ...

... ლოთობა-ხულიგნობას, რაც დიდი თანხები დაუჯდა ფაბრიკას.

ფაბრიკის დირექტორად წამოაყენეს ამავე წარმოების ზეინკალი მუშა დევიძე. მან სამწუხაროდ ვერ გაამართლა იმედები, რისთვისაც ის მოხსნილ იქნა. დევიძე ხედავდა ყველა ამ ნაკლს, მაგრამ ზომებს არ ღებულობდა. აღსანიშნავია ის, რომ დევიძეს როგორც წამოწეულ მუშას, ჯერ კიდევ გამოუცდელს, არავინ ეხმარებოდა მუშაობაში. პირიქით, მასალებს აგროვებდნენ იმისათვის, რომ დევიძე ადრე გადაეგდოთ.

გარდა ამისა ფაბრიკის ტეხნიკურ აპარატში თავმოყრილია გაუსწორებელი ბიუროკრატები. ბუხჰალტერიაში მუშა ვერ მიიღებს პასუხს მისთვის საჭირო კითხვაზე. აქ მსახურობს ბუხჰალტერად ვინმე შენგელია. ამ ვაჟბატონმა მოიყვანა და დაასკუპა მოანგარიშედ ბუხჰალტერიაში დათეშიძის ქალი, ყოფილი თავადი. ეს ქალი მეტი ამპარტავნობით მუშებს არც კი სცნობს, საქმეზე არ ელაპარაკება მათ: „ჯერ თქვენ „ტაბლიცა უმნაჟენია“ ისწავლეთ და მერე მელაპარაკეთ“-ო, ასე მოგახსენათ შენგელიას მიერ მოყვანილ „ნაზმა არსებამ“.

ბუხჰალტერი შენგელია მეტისმეტ მზრუნველობას იჩენს თავის თავზე. მან შეიძინა 5.000 მანეთიანი სახლი. შენგელიასთან მუშაობს ვინმე კაკო ჩიქოვლაშვილი, რომელსაც ხშირად ნახავთ ქუჩაში მთვრალს და გალეშილს. მას არა ერთი ღამე გაუთენებია კომისარიატის სარდაფში ...

... ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან.

ფაბრიკაში სისტემატიურად არის შემოღებული ზედმეტ საათებში მუშაობა. ფაბრიკის სახელოსნოებში თითქმის თვიური ხელფასის ოდენა თანხა გადის ზედმეტი საათის მუშაობაზე.

ამას ემატება ტეხნიკური პერსონალის სუსტი მომზადება. რამოდენიმე ბიჭი მოხსნილი იქნა იმისათვის, რომ ხელი მოკიდეს გარყვნილ ცხოვრებას, ... აკლდებოდა მუშებს, შემდეგ კი თითო-ოროლა მანეთობით ისტუმრებდნენ მათ.

საერთოდ ქუთაისის მაუდის ქარხანას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ფაბრიკა უკანასკნელ ხანებში ორივე ფეხებით კოჭლობს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს.

მოსე ჟღენტი. (?)

უთავბოლობის ნიმუში

